585
1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 7 (48) 22 დეკემბერი 1952 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

65. ბრძანებულება თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

66. ამხ. ხ. პ. როგავას დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

67. ბრძანებულება ამხ. ვ. ა. პაატაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

68. ბრძანებულება ამხ. შ. ს. მინდიაშვილის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

69. ბრძანებულება ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

71. ბრძანებულება თელავის მუსიკალური სკოლისათვის კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

72. ბრძანებულება მ. ნ. ნეპრინცევის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.

74. ბრძანებულება ლ. ნ. დიასამიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

75. ბრძანებულება ქალაქ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობის დამპროექტებელთა და მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

76. ბრძანებულება აჭარის ასს რესპუბლიკის შუახევის რაიონის შექმნის შესახებ.

77. ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის შექმნის შესახებ.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისა.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

65. ბრძანებულება თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის ზოგიერთი ცვლილების შესახებ

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. განთავისუფლდნენ:

ბედიაშვილი ალექსანდრე სპირიდონის-ძე—თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან;

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან:

ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე,
გიგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე,
ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს-ძე,
ჭირაქაძე არჩილ ვარლამის-ძე,
ბერიანიძე შალვა ზაქარიას-ძე.

2. დამტკიცდნენ:

ალავერდაშვილი მიხეილ ბესარიონის-ძე—თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

ფოფხაძე გრიგოლ გიორგის-ძე—თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად:

ბუჯიაშვილი კონსტანტინე დიმიტრის-ძე,
ჭელიძე სიმონ მოსეს-ძე,
კავთიაშვილი გიორგი ქრისტეფორეს-ძე,
ჩიქობავა მირიან კონსტანტინეს-ძე,
ბოძაშვილი ირაკლი იოსების-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. ამხ. ხ. პ. როგავას დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. ხუტა პეტრეს-ძე როგავა.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 25 ნოემბერი.

67. ბრძანებულება ამხ. ვ. ა. პაატაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე პაატაშვილი საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 29 ნოემბერი.

68. ბრძანებულება ამხ. შ. ს. მინდიაშვილის საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. შოთა სპირიდონის-ძე მინდიაშვილი საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 29 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

69. ბრძანებულება ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე პაატაშვილი საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 29 ნოემბერი.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრკ საავტომობილო ტრანსპორტის საკავშირო—რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საკავშირო—რესპუბლიკურ სამინისტროდ.

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 1 დეკემბერი.

71. ბრძანებულება თელავის მუსიკალური სკოლისათვის კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს თელავის მუსიკალურ სკოლას კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის სახელი და ამიერიდან იწოდებოდეს ნ. სულხანიშვილის სახელობის თელავის მუსიკალურ სკოლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 1 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

72. ბრძანებულება მ. ნ. ნეპრინცევის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

არქიტექტურისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადებიდან 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე არქიტექტორი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ნეპრინცევი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 8 დეკემბერი.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:
დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები 1953 წლის 22 თებერვალს, კვირას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 12 დეკემბერი.

74. ბრძანებულება ლ. ნ. დიასამიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

კომუნალური მეურნეობისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ლევან ნიკოლოზის-ძე დიასამიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 12 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75. ბრძანებულება ქალაქ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობის დამპროექტებელთა და მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ქალაქ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობის აგების დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით შენობის დამპროექტებელნი და მშენებელნი:

1. ბარტენიევი ანდრია ივანეს-ძე — ელექტრომონტიორი
2. ბერიძე ვარლამ პავლეს-ძე — გარაჟის გამგე, მძღოლი
3. გვათუა ლეონიდ სარდიონის-ძე — ტრესტის „სოხუმმშენის“ მმართველი
4. ზარემბო მიხეილ მიხეილის-ძე — მთავარი მექანიკოსი
5. თევზაძე ბუხუტი ანთიმოზის-ძე — ათისთავი
6. იაშვილი თენგიზ შალვას-ძე — ქვის მჭრელი
7. კანკავა გუგუ სერაპიონის-ძე — პარტბიუროს მდივანი
8. კრავჩენკო ალექსანდრე ვლადიმერის-ძე — არქიტექტორი
9. კსიფილინოსი მიხეილ ქრისტეფორეს-ძე — ინჟინერი
10. კუკულავა ლუკა ოლიფანტეს-ძე — სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის სექტორის უფროსი
11. ლოპატინი ვასილ მაქსიმეს-ძე — მოალფრესკეების ბრიგადირი
12. მიხელაშვილი მოშე იოსების-ძე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი
13. ოლეინიკოვა ვალენტინა პეტრეს ასული — აგრონომი-დეკორატორი
14. ჟვანია ანტონ ნიკოლოზის-ძე — მთავარი ინჟინერი, ტრესტის „სოხუმმშენის“ მმართველის მოადგილე
15. რაზმაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე — მოქანდაკე
16. რიჟენკო ტიმოთე პეტრეს-ძე — მლესავი
17. ფეიქრიშვილი ვახტანგ ივანეს-ძე — არქიტექტორი
18. ღოღობერიძე ბიძინა გრიგოლის-ძე — მოქანდაკე მძერწავი
19. ჩხიკვაძე მიხეილ არჩილის-ძე — არქიტექტორი, პროექტის ავტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 12 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. ბრძანებულება აჭარის ასს რესპუბლიკის შუახევის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, გამოეყოს ხულოს რაიონს სასოფლო საბჭოები: შუახევის, სხალთის, შუბანის, უჩამბის, დღვანის, ოლადაურის, ჭვანის, წყლისაყრის და ბარათაულისა და შეიქმნას მათგან შუახევის რაიონი, ცენტრით სოფელ შუახევში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 13 დეკემბერი.

77. ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, გამოეყოს აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონს დაბა ახალი ათონი და სასოფლო საბჭოები: ააცისა, აბღარხუქისა, აჭანდარისა, ანუხვისა, ყულანურხვისა, მეორე ანუხვისა, მწარისა, ფსირცხისა, სანაპიროსი და შეიქმნას მათგან ახალი ათონის რაიონი, ცენტრით დაბა ახალ ათონში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 13 დეკემბერი.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 20 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისა

თ ა ვ ი I

საარჩევნო სისტემა

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 147 მუხლის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატებს ამომრჩევლები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლების ჩამორთმევით.

მუხლი 3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 149 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე მონაწილეობს არჩევნებში თანასწორ საფუძველზე.

მუხლი 4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 150 მუხლის საფუძველზე ქალები მონაწილეობენ არჩევნებში და შეიძლება არჩეულ იქნან მამაკაცების თანასწორი უფლებით.

მუხლი 5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 151 მუხლის საფუძველზე სსრკ შეიარაღებულ ძალთა რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით — აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანასწორად.

მუხლი 6. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 152 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატებს მოქალაქენი ირჩევენ უშუალოდ პირდაპირი არჩევნების გზით.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 153 მუხლის საფუძველზე კენჭისყრა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დროს ფარულია.

მუხლი 8. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს უფლებით — აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორად.

მუხლი 9. იმ პირებს, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ სსრ კავშირის მოქალაქენი არ არიან, არამედ უცხო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფოს მოქალაქეებად ან ქვეშევრდომებად ირიცხებიან, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და არჩეულ იქნან საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში.

მუხლი 10. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 154 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით.

მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს არჩევნების თვითეული საარჩევნო ოლქი ირჩევს ერთ დეპუტატს.

მუხლი 11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დებულება.

მუხლი 12. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

თ ა ვ ი II

ამომრჩეველთა სიები

მუხლი 13. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, სიების შედგენის დროს სათანადო საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობს (მუდმივ ან დროებით) და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა.

მუხლი 14. არც ერთი ამომრჩევლის შეტანა არ შეიძლება ამომრჩეველთა ერთზე მეტ სიაში.

მუხლი 15. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ სასამართლო განაჩენით საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა სასამართლოს განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

მუხლი 16. ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მუხლი 17. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

მუხლი 18. ამომრჩეველთა სიები, რომლებიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს არჩევნებისათვის, სდგება თვითეული საარჩევნო უბნის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ფორმით, ანბანის წესით, ამომრჩევლის გვარის, სახელისა და მამის სახელის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ნომრების აღნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნით. ამომრჩეველთა სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 19. არჩევნებამდე 30 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაცნობად ან უზრუნველყოფს ამომრჩევლებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს შენობაში ან საარჩევნო უბნის შენობაში.

მუხლი 20. ამომრჩეველთა სიების დედანი ინახება შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და სამხედრო ნაწილში ან ჯარის შენაერთში.

მუხლი 21. თუ ამომრჩეველმა თავისი ადგილსამყოფელი გამოიცვალა ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნების დღიდან არჩევნების დღემდე, მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის „ხმის მიცემის უფლების მოწმობას“ და ამომრჩეველთა სიაში აღნიშნავს „წავიდა“; ახალ საცხოვრებელ ადგილას (მუდმივსა თუ დროებითში) ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა სიაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“, აგრეთვე პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 22. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელის, მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია გამოაქვეყნა და რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღის ვადისა განიხილოს ყოველი განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ.

მუხლი 23. ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ განცხადების განხილვის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა ან შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან მისცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ.

მუხლი 24. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის საკითხზე, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს სახალხო სასამართლოში, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღის ვადისა სასამართლოს ღია სხდომაზე, განმცხადებლისა და საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლის გამოძახებით, განიხილოს საჩივარი და თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელსაც და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსაც. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

თ ა ვ ი III

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 25. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნის მშრომელთა დეპუტატების სათანადო საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77 და 85-ა მუხლების საფუძველზე საარჩევნო ოლქები იქმნება შემდეგი ნორმით:

ა) მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების არჩევნებში—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 8.000 მცხოვრებზე;

ბ) მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს არჩევნებში—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 2000 მცხოვრებზე.

მუხლი 26. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 27. თვითეულ ოლქში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 28. საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 8-10 წევრის შემადგენლობით და მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამტკიცებს არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 29. საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) ოლქის მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს, რათა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად სრულდებოდეს;

ბ) იხილავს საჩივრებს საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ და საჩივრების გამო გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილებანი;

გ) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით;

დ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ე) აბარებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმის წარმოებას.

მუხლი 30. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში სდგება საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი

წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 31. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-6 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 32. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს რეგისტრაციას დეპუტატობის კანდიდატებისას, რომლებიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

დ) წარადგენს საოლქო საარჩევნო კომისიაში მასალებს არჩევნების შედეგებზე ოლქში;

ე) აძლევს არჩეულ დეპუტატს არჩევის მოწმობას;

ვ) შესანახად აბარებს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არჩევნების საქმის წარმოებას.

თ ა ვ ი IV

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86 მუხლის საფუძველზე საარჩევნო ოლქები იქმნება შემდეგი ნორმებით:

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა 25 ათას კაცს აღემატება,—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1.000 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 60 ოლქისა;

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა 25 ათას კაცამდეა, იქმნება 25 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 34. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 35. თვითეულ რაიონში იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 36. რაიონული საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4—6 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 37. რაიონული საარჩევნო კომისია:

ა) თვალყურს ადევნებს რაიონის ტერიტორიაზე, რათა რაიონული საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად სრულდებოდეს;

ბ) იხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ;

გ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროიანად შედგენას და ყველასათვის გაცნობას;

დ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბნების დროიანად შექმნას მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ;

ე) ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებს;

ვ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ზ) აბარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმის წარმოებას.

მუხლი 38. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 39. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-4 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 40. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს რეგისტრაციას დეპუტატობის კანდიდატებისას, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

დ) წარადგენს რაიონულ საარჩევნო კომისიაში მასალებს არჩევნების შედეგებზე ოლქში;

ე) აძლევს არჩეულ დეპუტატს არჩევის მოწმობას;

ვ) შესანახად აბარებს საქმის წარმოებას მშრომელთა დეპუტატების საათანადო რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი V

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნიან შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87 მუხლის საფუძველზე საარჩევნო ოლქები იქმნება შემდეგი ნორმებით:

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 12 ათასიდან 100 ათასამდე კაცს—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 350 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 საარჩევნო ოლქისა;

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 12 ათასამდე კაცს, იქმნება 35 საარჩევნო ოლქი.

ქალაქ თბილისში — ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1.000 მცხოვრებზე.

რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონებში, სადაც მოსახლეობა 20 ათას კაცს აღემატება, იქმნება ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 500 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 საარჩევნო ოლქისა; ქალაქის რაიონებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 20 ათასამდე კაცს, იქმნება 35 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 42. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 43. თვითეულ ქალაქში და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საათანადო საქალაქო საბჭოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების საქალაქო და რაიონული საარჩევნო კომისია.

საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 44. საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიები სდგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 6—10 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებენ: საქალაქო საარჩევნო კომისიებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი; საოლქო დაქვემდებარების ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები; რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები; რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არაუგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 45. საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია:

ა) ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს, რათა საქალაქო და რაიონული საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად სრულდებოდეს;

ბ) იხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებაზე;

გ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროიანად შედგენას და ყველასათვის გაცნობას;

დ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბნების დროიანად მოწყობას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ;

ე) ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებს;

ვ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ზ) აბარებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმის წარმოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 46. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 47. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2—4 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 48. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს რეგისტრაციას დეპუტატობის კანდიდატებისას, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

დ) წარადგენს საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში მასალებს არჩევნების შედეგებზე ოლქში;

ე) აძლევს არჩეულ დეპუტატს არჩევის მოწმობას;

ვ) შესანახად აბარებს საქმის წარმოებას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი VI

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 49. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების სათანადო სასოფლო და სადაბო საბჭოები.

საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 88 მუხლის საფუძველზე იქმნება შემდეგი ნორმებით:

იმ სასოფლო საბჭოებისა და დაბების ტერიტორიაზე, რომელთა მოსახლეობა 1.000 კაცს აღემატება,—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 100 მცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე, მაგრამ არა უმეტეს 35 ოლქისა; იმ სასოფლო საბჭოებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, იქმნება 9 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 50. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 51. თვითეულ სასოფლო საბჭოში და დაბაში შესაბამისად იქმნება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისია.

სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 52. სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2—4 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 53. სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისია:

ა) თვალყურს ადევნებს სასოფლო საბჭოს, დაბის ტერიტორიაზე, რათა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად სრულდებოდეს;

ბ) იხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ;

გ) ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებს და ამარაგებს საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიებს;

დ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოში არჩეული დეპუტატების რეგისტრაციას;

ე) აბარებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმის წარმოებას.

მუხლი 54. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 55. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, მდივნისა და კომისიის ერთი წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 56. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით წამოყენებულ კანდიდატთა რეგისტრაციას;

ბ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

გ) წარადგენს სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისიაში მასალებს არჩევნების შედეგებზე ოლქში;

დ) აძლევს არჩეულ დეპუტატს არჩევის მოწმობას;

ე) შესანახად აბარებს საქმის წარმოებას მშრომელთა დეპუტატების საოანადო სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი VII

საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები

მუხლი 57. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად ქალაქების, დაბებისა და სასოფლო საბჭოების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად, რომლებიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის.

მუხლი 58. საარჩევნო უბნებს ჰქმნიან და მათ რიგითს ნომრებს აკუთვნებენ ქალაქად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საარჩევნო უბნების შექმნა ხდება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 59. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ითვლება 2.000-ზე მეტი მცხოვრები, საარჩევნო უბნები შეიქმნება ანგარიშით—ერთი საარჩევნო უბანი 1.500—3.000 მცხოვრებზე.

მუხლი 60. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2.000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, შეადგენს ერთ საარჩევნო უბანს; თვითეულ სოფელში, დაბაში, რომელშიაც ითვლება მოსახლეობა 500 მცხოვრებიდან მოკიდებული, მაგრამ არა უმეტეს 2.000 მცხოვრებისა, იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 300-ისა, თუ მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო უბნის ცენტრამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები.

მუხლი 61. იმ ადგილებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სჭარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო უბნები არა ნაკლებ 100 მცხოვრებით.

მთიან რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლები 50-ისა.

მუხლი 62. სამხედრო ნაწილები და ჯარის შენაერთები შეადგენენ ცალკე საარჩევნო უბნებს არა ნაკლებ 50 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლით.

მუხლი 63. საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან, ინვალიდთა სახლებთან, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის, ცალკე საარჩევნო უბნები შეიქმნება.

საავადმყოფოებში, რომლებსაც რამდენიმე კორპუსი აქვთ, შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები ცალკე კორპუსებთან, თუ თვითეულ მათგანში ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის.

მუხლი 64. იმ გემებზე, რომლებზედაც ამომრჩეველთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები არ არის და რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები; ეს უბნები შევლენ საარჩევნო ოლქებში იმის მიხედვით, თუ რა დასახლებულ ადგილზეა გემი მიწერილი.

მუხლი 65. თვითეულ საარჩევნო უბანში იქმნება საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში მოწყობილი მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში მოწყობილი გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 66. საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4—8 წევრის შემადგენლობით, იმ საარჩევნო უბნებში კი, სადაც 300 მცხოვრებზე ნაკლები ითვლება, თავმჯდომარის, მდივნისა და 1—3 წევრის შემადგენლობით. მათ ამტკიცებენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები; სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 40 დღისა არჩევნებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 67. საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში დაშვებულ შეცდომათა შესახებ და განსახილველად შეაქვს ეს განცხადებანი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია შეადგინა;

ბ) აწარმოებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას საარჩევნო უბანში;

გ) აწარმოებს ხმების დათვლას მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატობის თვითეული კანდიდატის მიხედვით;

დ) წარუდგენს სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიას ხმის მიცემის ოქმს;

ე) შესანახად აბარებს საქმის წარმოებას მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი VIII

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესი

მუხლი 68. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 154 მუხლის საფუძველზე დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს.

მუხლი 69. დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლებას ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების როგორც ცენტრალური ორგანოები, ისე მათი რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული ორგანოები, აგრეთვე საერთო კრებები მუშებისა და მოსამსახურეებისა—საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისა—ჯარის ნაწილებში, გლეხთა საერთო კრებები—კოლმეურნეობებში და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მომსახურეებისა - საბჭოთა მეურნეობებში.

მუხლი 70. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთსა და იმავე საბჭოში ასარჩევად კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ ოლქში.

მუხლი 71. დეპუტატობის კანდიდატები არ შეიძლება იყვნენ იმ ოლქის საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, სადაც ისინი წამოყენებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად.

მუხლი 72. არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები, ვალდებულნი არიან დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარონ სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 73. არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოების, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კანდიდატები, ვალდებულნი არიან დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარონ სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 74. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატი, ვალდებულნი არიან კანდიდატის სარეგისტრაციოდ წარუდგინონ სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიას შემდეგი დოკუმენტები:

ა) დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ოქმში უნდა იყოს აღნიშნული: კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილი, დრო და მონაწილეთა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა;

ბ) დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

მუხლი 75. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოყენებული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით.

დეპუტატობის თვითეულ კანდიდატზე საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს რეგისტრაციის ოქმს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით. რეგისტრაციის ოქმის ერთი ცალი დაუყოვნებლივ ეგზავნება სათანადო საოლქო, რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საარჩევნო კომისიას დეპუტატობის კანდიდატის განცხადებასთან ერთად, რომ ის თანახმაა კენჭი იყაროს სათანადო საარჩევნო ოლქში.

მუხლი 76. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, რაიონული, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის უარი იმაზე, რომ რეგისტრაციაში გაატაროს დეპუტატობის კანდიდატი, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაში შესაბამისად საოლქო, რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საარჩევნო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 77. მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოს დეპუტატობის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე.

ცნობებს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრაციაში გატარებული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების შესახებ აქვეყნებს სათანადო საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 78. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 79. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები და აგრეთვე სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა დაუგზავნონ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას საარჩევნო ბიულეტენები.

მუხლი 80. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე და იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

მუხლი 81. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა საოთანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული კანდიდატი, ისე როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

თ ა ვ ი IX

არჩევნების დღე

მუხლი 82. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, რაიონული, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები მოხდება ერთი დღის, საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საერთო დღის განმავლობაში.

მუხლი 83. არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ვადამდე. არჩევნები მოხდება არასამუშაო დღეს.

მუხლი 84. არჩევნებამდე დარჩენილი უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე ფართოდ აცნობს ამომრჩევლებს გამოქვეყნების გზით ან სხვა საშუალებით არჩევნების დღესა და არჩევნების ადგილს.

თ ა ვ ი X

ხმის მიცემის წესი

მუხლი 85. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

მუხლი 86. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილ ამომრჩეველთა სიას, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს კომისიის ბეჭდით და იწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

ბეჭდებისა და საარჩევნო ყუთების ნიმუშებს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 87. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგებო ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავსებად. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახებში ან კაბინებში აკრძალულია ვისიმე ყოფნა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისაც, გარდა ხმის მიმცემისა.

მუხლი 88. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

მუხლი 89.. საარჩევნო შენობაში ხმის მისაცემად მისული ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ან საუბნო საარჩევნო კომისიის საამისოდ რწმუნებულ წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შემდეგ ღებულობს დაწესებული ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს.

მუხლი 90. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თვითეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის; ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და შიგ უშვებს საარჩევნო ბიულეტენებს.

მუხლი 91. ამომრჩეველს, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობისა ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო შესაძლებლობა არა აქვს დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვს მოიწვიოს იმ ოთახში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად.

მუხლი 92. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

მუხლი 93. იმ პირებს, რომლებიც არჩევნებისათვის გამოცხადდნენ საარჩევნო შენობაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობით", თანახმად არჩევნების ამა დებულების 21 მუხლისა, საუბნო საარჩევნო კომისია შეიტანს ამომრჩეველთა სიაში, რომელსაც ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 94. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრესათვის სავალდებულოა.

მუხლი 95. არჩევნების დღის ღამის 12 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თ ა ვ ი XI

არჩევნების შედეგების გამორკვევა

მუხლი 96. შენობაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად აქვთ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 97. საუბნო საარჩევნო კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ითვლის ბიულეტენებს ოლქების მიხედვით, ადარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რიცხვს იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომრჩეველთა სიის მიხედვით და შედარების შედეგები შეაქვს ხმის მიცემის ოქმში თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

მუხლი 98. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით აცხადებს ხმის მიცემის შედეგებს თვითეული ბიულეტენის მიხედვით.

მუხლი 99. გაუქმებულად ითვლება ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი, აგრეთვე არადაწესებული ნიმუშის ბიულეტენები.

მუხლი 100. საარჩევნო ბიულეტენების სინამდვილეში ეჭვის წარმოშობის დროს საკითხს სწყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით, რაც ოქმში აღინიშნება.

მუხლი 101. საუბნო საარჩევნო კომისია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით ადგენს თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომლებსაც ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 102. საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) საერთო რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებიც სათანადო საარჩევნო ოლქის ან საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში არიან;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებიც ცნობილია გაუქმებულად;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია კანდიდატების გვარები;

ზ) დეპუტატობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი;

თ) საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მუხლი 103. ხმების დათვლის დამთავრებისა და ოქმების ხელმოწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე აცხადებს თვითეული ოლქის მიხედვით კენჭისყრის შედეგებს.

მუხლი 104. ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გაგზავნოს საგანგებო კაცის ხელით ხმის მიცემის ოქმის ერთი დალუქული ცალი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 105. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაილუქოს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და ხმის მიცემის ოქმის მეორე ცალთან, საქმის წარმოებასთან და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედთან ერთად. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შესანახად უნდა ჩააბაროს: ქალაქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს; რაიონებად დაყოფილ ქალაქში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 106. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ — შეინახონ საარჩევნო ბიულეტენები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მითითებამდე.

მუხლი 107. იმ შენობაში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად აქვთ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 108. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები აწარმოებენ ხმების დათვლას და არკვევენ არჩევნების შედეგებს ოლქში — საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი ოქმების საფუძველზე.

მუხლი 109. საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომლებსაც ხელს აწერენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 110. საოლქო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ბ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

დ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებიც ცნობილია გაუქმებულად:

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია კანდიდატების გვარები;

ვ) დეპუტატობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი;

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მუხლი 111. ხმების დათვლისა და ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე აცხადებს არჩევნების შედეგებს.

მუხლი 112. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. ყველა იმ ხმების ნახევარზე მეტი, რაც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

მუხლი 113. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აძლევს დეპუტატად არჩეულ კანდიდატს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობას. არჩევის მოწმობის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 114. ოქმის ხელის მოწერის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ საგანგებო კაცის ხელით გაუგზავნოს ხმის მიცემის ოქმის ერთი დალუქული ცალი სათანადო საოლქო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საარჩევნო კომისიას.

ოქმის მეორე ცალს, საუბნო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმებთან და საოლქო საარჩევნო კომისიის საქმის წარმოებასთან ერთად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აბარებს შესანახად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საოლქო, რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 115. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების სხდომები კანონიერად ითვლება, თუ მათში მონაწილეობს კომისიის საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ყველა საკითხი საარჩევნო კომისიებში ხმის უბრალო უმრავლესობით სწყდება; ხმების რაოდენობა თუ თანაბარია, საკითხს სწვეტს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 116. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, საოლქო საარჩევნო კომისია ამას ცალკე აღნიშნავს ხმის მიცემის ოქმში და აცნობებს სათანადო საოლქო, რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საარჩევნო კომისიას და ამავე დროს აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა, აგრეთვე ნიშნავს ხელახალი კენჭისყრის დღეს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

მუხლი 117. თუ ოლქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომლებსაც ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, საოლქო საარჩევნო კომისია ამას ცალკე აღნიშნავს ოქმში და დაუყოვნებლივ აცნობებს სათანადო საოლქო, რაიონულ, საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონულ, სასოფლო ან სადაბო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ შემთხვევაში ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

მუხლი 118. დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად არანამდვილ არჩევნებად ცნობილისა, მოხდება პირველი არჩევნებისათვის შედგენილი ამომრჩეველთა სიებით და სრულ შესაბამისად ამა არჩევნების დებულებისა.

მუხლი 119. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი გავიდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობიდან, მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არა უგვიანეს ორი თვის ვადისა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შემდეგ, ნიშნავს სათანადო საარჩევნო ოლქში ახალი დეპუტატის არჩევნებს.

თ ა ვ ი XII

პასუხისმგებლობა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევისათვის

მუხლი 120. ყველა ის, ვინც ძალადობისა, მოტყუებისა, მუქარისა ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის საქართველოს სსრ-ის მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 121. საბჭოს თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომლებიც ყალბად გააკეთებენ საარჩევნო დოკუმენტებს, ან განზრახ არასწორად დაითვლიან ხმებს, — დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ თბილისისა და ქუთაისის ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები ხდება შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 8.000 მცხოვრებზე.

2. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 85-ა მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 20 დეკემბერი.